წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ოთხშაბათი, 6 იანვარი 1916 წ. | № 4

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციისა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. [illegible]
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: [illegible] განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიურ გაზეთზე

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

1916 წ. წელიწადი მეორე

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველ. პრემიით მიიღებს.

**პრემიები:**

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

ცალკე მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და სალამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**.

მიიღება ხელის მოწერა

პირველი წელი | პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

### პაზმული და სამხატვრო კრებული

### „მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის ალსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

### 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

### „ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** დ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

ექიმი

### მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. სალამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი-დოსტაქარი

### გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ სალამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმმა

### მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

### კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან** და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე სალამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სალ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

**გოლოვინის პრ.** და **სამხედრო ქუჩის** კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

### ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი**, 4 იანვარი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. გერმანელთა ჰაეროპლანები დაესხნენ შლოკს, კურტენჰოკს და დვინსკს. პლავანის რაიონში, რიგისა და კოკენჰუზენის სამხრეთით და ფრიდრიხშტადტისა და ილლუკსტის აღმოსავლეთით საარტილერიო სროლაა. რუსთა არტილერია მარჯვედ ესროდა გერმანელებს სოფელ ლავრენტის მიმართულებით და დუბელიშკის რაიონში, დვინსკის ჩრდილო-დასავლეთით.

**კავკასიის ფრონტი.** ოსმალნი ორჯელ შეეცადნენ მდ. არხავეს მარჯვენა ნაპირზე გადმოსულიყვნენ, მაგრამ ორჯელვე უკუგდებულ იქმნენ. 2 იანვრის ბრძოლაში რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 167 ჯარისკაცი და 1 მილიონამდე პატრონა დარჩათ დავლად და რამდენიმე ათასი საზარბაზნე ყუმბარა.

—

**პარიზი**, 4 იანვარი. მთელი ღამის განმავლობაში აღსანიშნავი არა მომხდარა-რა, მხოლოდ სომისა და ავრის შუა საკმაოდ ძლიერი საარტილერიო სროლა იყო.

**კრუშევაცი**, 3 იანვარი. მთაშაველთა „პრესბიურო“ იუწყება: შობიდან მოყოლებული მტერს სასტიკი იერიშები მოაქვს მთელი ფრონტის გასწვრივ. ქარიშხალისებური ცეცხლით მთაშაველნი იძულებულნი გახდნენ მოწინავე პოზიციები დაეცალნათ და ლოვჩენის მთაზე გამაგრებულიყვნენ. ამის შედეგი გახდა ცეტინიეს ევაკუაცია. მტერი შეუწყვეტლივ მოიწევს ძველ მთაშავეთის ტერიტორიაზე. ჩვენი ჯარები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ და დიდ ზარალსაც აყენებენ. მთაშაველთა ჯარებს საბოლოოდ გარს შემოერტყნენ. პური შემოაკლდათ. სურსათის მიწოდება შეუძლებელი გახდა. მტერი გაცილებით მრავალრიცხოვანია. არმია თავის მოვალეობას ასრულებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს, რათა დაიცვას თვისი სამშობლოს სახელი და პატივი.

**რომი**, 3 იანვარი. სარკისა და მდ. ალიჯეს შუა 1 იანვარს ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ მტერი შეეცადა ჯვრის ღელეში ჩვენს პოზიციებს მოახლოვებოდა, მაგრამ უმალვე უკუგდებულ იქნა. ერთმა ჩვენმა რაზმთაგანმა ლოპიოსტერზე დაიჭირა კუნძული. იმავე დღეს ჩვენმა არტილერიამაააფეთქა მტრის თოფის-წამლის საწყობები. გორიცის ჩრდილო-დასავ. ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ 1 იანვარს მტერი გამოემართა იერიშით, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. მტერმა ძალა მოიცა, ხელახლად შეგვიტია და „188“ მწვერვალებზე ზოგიერთ ადგილას მოახერხა ჩვენს პოზიციებზე წინა თხრილების აღება. სამაგიეროდ გათენებისას შევუტიეთ და ისევ დავიბრუნეთ წართმეული ადგილები. წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე. მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ფელტრეში და ჩერპინიანოში, მაგრამ ზარალი დიდი არ მოუყენებიათ. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

**ბერგენი**, 4 იანვარი. ქალაქის შუაგულში გადიწვა 400 შენობა. ზარალი 100 მილიონი კრონაა. დაიწვა ცეცხლის მქრობელი და რამდენიმე კაცი დაშავდა. მეფე და სამხედრო მინისტრი ქრისტიანიიდან მოვიდა. საგანგებო ზომებია მიღებული დაშავებულთა საშველად. ყოველ მხრით თანაგრძნობითი დეპეშები მოდის. საფრანგეთის მთავრობამ ქრისტიანიაში მყოფ ელჩის ხელით გადასცა 100 ათასი ფრანკი კატასტროფის მსხვერპლთა სასარგებლოდ.

**ტოკიო**, 4 იანვარი. იაპონურ გაზეთების ცნობით ჩინელთა წინადადება რომ საგანგებო ელჩი გაიგზავნოს იაპონიაში არ მიიღო იაპონიის მთავრობამ. მიზეზად ჩინეთის შინაურ პოლიტიკურ მდგომარეობის გამოურკვევლობას ასახელებენ.

**ბუქარესტი**, 3 იანვარი. ბულგარეთიდან იტყობინებიან: მუშამ დმიტრიევმა მოჰკლა დეპუტატი შურმანსკი, გენადიევის მეგობარი, რომელმაც მილიონი ქონება შეიძინა პურის სპეკულიაციობით. როგორც სჩანს, ეს პოლიტიკური აქტია, მუშათა ორგანიზაციების განზრახული გეგმის თანახმად შესაძლებელი საქმე, რათა რევოლიუციით უპასუხონ ომის მომიზეზეებს.

**ბუქარესტი**, 4 იანვარი. რუმინეთიისა და ინგლისის წარმომადგენელთა ოფიციალი შეთანხმება მოხდა, რომ 80 ათასი ვაგონი პური გაიტანონ მინიმალ ფასებში.

**ჰავრი**, 3 იანვარი. მთელს ფრონტზე სუსტი საარტილერიო სროლა იყო.

**ლონდონი**, 3 იანვარი. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ქივანშთან და იპრთან იყო სუსტი საარტილერიო სროლა. ჩვენმა არტილერიამ იპრის ჩრდილოეთით სასურველი ნაყოფი გამოიღო.

**თეირანი**, 4 იანვარი. შაჰმა ყაზვინში გაჰგზავნა წარმომადგენელი რათა რუსის საექსპედიციო რაზმის უფროსს უბოძოს ტინასლიას ორდენი, აგრეთვე აფიცრობას დაურიგოს სპარსული ორდენები.

**პარიზი**, 3 იანვარი. ბელგიაში ჩვენ ინგლისელებთან ერთად მტრის სანგრებს საგრძნობელი ზარალი მივაყენეთ. ჩვენი ბატარეები მარჯვედ უპასუხებდნენ მტრისას ლილ-ტელლიუსის მახლობლად. აგრეთვე ავაფეთქეთ მათი საწყობები ნევილ-სენ-ვაასტის ჩრდილოაღმოსავლეთით „114“ მწვერვალის კალთებზე. არგონებში ბრძოლა სწარმოებდა ხელით სასროლ ყუმბარებით.

**სოლუნი**, 3 იანვარი, „პროვანსით“ კორსიკაში და მარსელში გაემგზავრა 760 სერბიელი გამოქცეული და 500 სერბიელი ჯარისკაცი.

**ათინა**, 3 იანვარი. სერბიელთა მეფე ექიმთა და ადიუტანტითურთ მოვიდა ედიპოოსში, კუნძულ ევბეაზე. მეფეს წამლობა ესაჭიროება.

სერბეთის ტახტის მემკვიდრე რამდენიმე აფიცერითურთ მოვიდა კორფუში, სადაც თავს მოიყრის სერბეთის არმია, რომელიც ამ ჟამად სამხრეთ-ალბანიაში იმყოფება. კუნძულ პტიხიაზე კორფუს პირდაპირ ათასი სერბიელი ჯარისკაცია მოსული.

ფრანგებმა კორფუში დაატყვევეს ავსტრიელთა კონსული და მალტაზე იქმნა გადაყვანილი.

ფრანგთა ჰაეროპლანების რაზმი ბულგართა ბანაკს დაესხა თავზე და თვალსაჩინო ზარალიც მიაყენა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**პასტორი მაკ—კალუმი.**

ნიუ-იორკიდან მოსკოვში მოვიდა ამერიკის მისიის წევრი პასტორი ვ. ვ. მაკ-კალუმი, რომელიც კავკასიაში მყოფ გამოქცეულ სომხებზე ზრუნავს. იგი ინგლისის ქვეშევრდომია, კანადელი. ამ ხუთი თვის წინ მას დაუტოვებია სტამბოლი. ოსმალეთიდან შვეიცარიის გზით წასულა ამერიკაში, სადაც მხურვალე მონაწილეობა მიუღია სომეხ-გამოქცეულთა დამხმარე კომიტეტის მზრუნველობაში. ნიუ-იორკში თურმე ამისთვის 4 სხვა და სხვა კომიტეტი მუშაობს. იმ კომიტეტს, სადაც წევრად შესულა მაკ-კალუმი, ჯერჯერობით 200 ათასი გირვანქა სტერლინგი მოუგროვებია. ცნობილ მილიარდერ როკფელერს უთქვამს: როცა ფულის მოკრებას გაათავებთ, დავხედავ შეგროვებულ ჯამს და ჩემის მხრით ერთს იმდენს მევე დავუმატებო. მაკ-კალუმი მშვენივრად ლაპარაკობს სომხურ ენაზე.

**გამოქცეულების რაოდენობა.**

სამხრეთ-დასავლეთის ერობის კავშირს გამოქცეულთა დასახმარებლად დაუხარჯნია ჯერჯერობით 891,838 მან. აქნობამდე ყველა თავშესაფარში, სადაც ინახვენ გამოქცეულთ, გაუვლია სულ 3,966,773 გამოქცეულს. ფრონტის პუნქტებზე, (რიცხვით სულ სამოცდა ათია) დღიურად ასიათას ადგილობრივ მცხოვრებსა ჰკვებენ.

**სოლუნის გარშემო**

სოლუნის მდგომარეობის შესახებ სულ სხვა და სხვა გვარი ამბებია: გერმანული გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანელები ინდოეთში და ეგვიპტეში გალაშქრებამდე ჯერ სოლუნის ბედს გადასწყვეტენ, რათა სრულიად უზრუნველ ყოფილი გახდნენ და შიში არ ჰქონდეთ გზის გადაჭრისაო. სოლუნიდან მოსული დეპეშების თანახმად გერმანელ-ბულგარ-ოსმალთა ჯარები მალე დაიწყებენ საზოგადო იერიშებს მოკავშირეთა წინააღმდეგ. მტერმა დიდძალ ჯარს თავი მოუყარა საბერძნეთის საზღვარზეო. სხვა ცნობებიცაა, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო მტერს ეხლა არ შეუძლიან ფართო შეტევას შეუდგესო.

**ზავის გარშემო**

გერმანეთში ზავის სასარგებლოდ აგიტაცია ძლიერდება. ავრცელებენ სხვა და სხვა გვარის შინაარსის ბროშიურებს, ჰმართავენ მიტინგებს. ერთს მიტინგზე 15 ათასზე მეტი კაცი დასწრებულა. ყველანი დაბეჯითებით თხოულობენ ზავსაო.

**განადგურებული სერბეთი**

განადგურებული სერბეთი საზარელ სურათს წარმოადგენს. ამ ჟამად სერბეთში სამ მილიონამდელა დარჩა. ყველა შიმშილ-წყურვილით იხოცება. ნიშიდან მონასტირში მიმავალი გზა ნაგრევებითაა სავსე, ადამიანისა და საქონლის ლეშითა და სისხლით მოთხვრილი. პურის შემოტანა ძნელდება. ვისაც შეუძლიან ცოტა რამ იშოვოს, იგი უბედნიერეს ადამიანად ითვლება. გამოქცეულნი იმითი იკვებებიან, რაც ხელთ მოჰხვდებათ. ყველგან საშინელი შიმშილობა და გაჭირვება მძვინვარებს. ეს დაუსრულებელი ხალხის აგონია დღევანდელ ომის შავბნელ ისტორიის ფურცლებზე განსაკუთრებულ სახით აღიწერება მომავალში.

**მოკავშირენი კავალაში ვერ გადმოვლენო.**

ციურიხიდან იტყობინებიან, ბულგარეთის პრემიერმა რადოსლავოვმა აცნობა ბულგართ გლეხთა პარტიის ბელადს, ბულგარეთის მთავრობამ ოფიციალი უწყება მიიღო საბერძნეთის მეფისაგან, რომ საბერძნეთის მთავრობა მოკავშირეებს ნებას არ მისცემს კავალაში ჯარები გადმოასხან.

**ახალმოდის კონტრიბუცია.**

იტალიური გაზეთი: Idea Nazionale“ სწერს: უწინარეს ყოვლისა ჩვენ შეგვიძლია გერმანეთზე დიდი გავლენა მოვახდინოთ წმინდა ნივთიერის მხრივ. იტალიაში ბლომად მოიპოვება გერმანელების საკუთრება, ვილლები, სასახლეები, ისე მამულები, სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებანი, ფასიანი ქაღალდები და სხვა და სხვა. ყველა ამას დაუყოვნებლივ უნდა კონფისკაცია ვუყოთ და გაიყიდოს საჯარო ვაჭრობაზე, ომის მსხვერპლთა სასარგებლოთ. ამ-გზით მრავალ მილიარდ ლირას ავიღებთ. ეს იქნება ერთი დიდი კონტრიბუციის აღებაო“.

**შაქრის ბაზარზე.**

კიევის შაქრის ბირჟაზე აუარებელი სპეკულიანტი ირევა. აჟიოტაჟმა საოცრად აიწია. დიდი სპეკულიაცია სწარმოებს შაქარსა და მის ქაღალდის ფასოვნებაზე. მიუხედავათ ნიხრის თავისთავად მაღალი ფასისა, სპეკულიანტები ფასს თანდათან მაღლა სწევენ. ნიხრის შემოღებამ პირველ ორ დღეს მოახდინა გავლენა და ანგარიშს უწევდნენ! შემდგომ კვლავ გვერდი აუხვიეს და გამეფდა აღვირ-წახსნილი სპეკულიაცია. დღეს რუსეთში რუსული შაქარი ერთი ორად უფრო ძვირია ვიდრე უცხოეთში. მთავრობა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვერას გახდა.

**მოკავშირენი.**

ომის დაწყებისათანავე გერმანულ პრესაში ხმაურობა ასტეხეს იმის გარშემო, თუ რას წარმოადგენს ერთის მხრივ კავშირი ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის და სხვათა და მეორეს მხრივ კავშირი გერმანეთ-ავსტრიისა. გერმანელები ამბობდნენ: არითმეტიკული მეტ-ნაკლებობა არაფერ შუაშია, არ კი უნდა დავთვალოთ არამედ ავწონოთ: ის კრებული, რომელიც გერმანეთის წინააღმდეგ გამოვიდა, სხვა და სხვა სახელმწიფოებისაგან შემდგარი, რომელნიც მდებარეობით ერთმანეთს დაშორებულნი არიან და რომელნიც ეროვნულადაც ერთი მეორისგან განსხვავდებიან. ამის გამო მათ არ შეუძლიანთ მოქმედებაში ერთობა და ერთსულოვნობა დაიცვან. შეიძლება ისეც დატრიალდეს საქმე და ომის გამო ისეთი დავიდარაბა ასტყდეს, რომ თვით გერმანეთის დიპლომატიას დასჭირდეს მათი გაშველება. სხვა საქმეა კავშირი გერმანეთისა; ავსტრიას და გერმანეთს ნათესაურის სისხლის გარდა, აკავშირებს ერთი მიზანი და მოქმედებენ ერთის სურვილით და ერთი ნებითაო.

## „ახალი კლუბი“

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო, ამით აუწყებს კლუბის წევრებს და მუდმივ მოსიარულეთ, რომ ხუთშაბათს, 7 იანვარს 1916 წ. ქართულ დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ხანუმა

კომედია 3 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

**წარმოდგენის დასაწყისი 8 საათ. საღამოთი.**

კლუბში შესასვლელს მამაკაცები იხდიან 1—05 კ. მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 65 კ. (2—24—1)

### გერმანეთის სავაჭრო-სამრეწველო მოქმედება.

სავაჭრო-სამრეწველო გაზეთი სწერს: გერმანეთის ახალი სავაჭრო-სამრეწველო იდეალი,—ჰეგემონია ხმელეთზე ისეთი განზრახვაა, რომელიც თავბრუს ახვევს ყოველ გერმანელს კომი-ვუაიაჟორს. ეს იდეალი გულისხმობს საბოლოოდ თავის ვაჭრულ პოლიტიკურ ორბიტაში მოიყოლიოს არა მარტო გერმანელთა მოდგმის ქვეყნები, როგორც მაგალითად სკანდინავია, ჰოლანდია და ბელგიაა, არამედ დასავლეთის მთელი სლავიანობა და მაჰმადიანთა ქვეყნები, ბალკანეთის ნახევარ კუნძული, მცირე აზია, სპარსეთი, ეგვიპტე და აფრიკის ჩრდილო მხარე და ინდოეთი.

## უკანასკნელი ფოსტა

როგორც იტყობინებიან ჩინეთში საყოველთაო ბევარა შემოუღიათ. იუანშიკაის მთავრობა დიდს ფაცაფუცშია.

— როგორც დანამდვილებით იტყობინებიან: ავსტრიის ორი ჯავშნოსანი და 4 გერმანელების წყალქვეშა ნავი კატაროს ნავთსადგურში შესულა. კატარო მდებარეობს მთაშავეთის სანაპიროზე.

— მოკავშირეებმა მაკედონიაში ხიდები ააფეთქეს, რათა გერმანელების სოლუნზე მიტანილი იერიში შეაჩერონ. საბერძნეთი ამის გამო პროტესტის გამოცხადებას აპირობს.

— ეგვიპტის წინააღმდეგ ოსმალეთს 300 ათასი მებრძოლი გაუყვანია. 250 საველე იარაღი აქვთ, აუარებელი მძიმე არტილერია და 1500 ავტომობილი.

— გერმანელებმა მთაშავეთის სატახტო ქალაქის გარდა აიღეს ბერანი. მთაშავეთს დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან უვლიან და ადგილებს იჭერენ. ინგლისი დიდად გულმოსულია რომ მთაშავეთს იტალეთი არ მიეშველა. ლოვჩენის აღებამ საფრანგეთში სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა. ფრანგები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გერმანელები ამ ზამთარს მთაშავეთის სამთავროში ვერ შევიდოდნენ. ფიქრობენ კატაროში გერმანელები და ავსტრიელები გამაგრდებიან და ზღვიდან დაიწყებენ ბრძოლასაო.

— სტირზე ხამუშ-ხამუშად ბრძოლა სწარმოებს.

— გალიციასა და ბუკოვინაში რუსის ჯარის ბრძოლამ ჯერჯერობით ისეთი ნაყოფი ვერ გამოიღო, რომ საჯაროდ განეცხადებინათ. როგორც ფრანგული პრესა აღნიშნავს, ამ ბრძოლამ აიძულა მაკენზენს სოლუნიდან ჯარი გამოეყვანა და გალიცია-ბუკოვინისაკენ გადმოესხა.

— სამხედრო მიმომხილველნი ამბობენ, რადგან გერმანელებმა ლოვჩენი ხელთ იგდეს, ეხლა შესაძლებელია ადრიატიკის ზღვაში სერიოზული ბრძოლა დაიწყონო.

— დიდად უკმაყოფილოა მთავრობის გაზეთი „ნოვოე ვრემია“ იმის გამო, რომ იტალიამ მთაშაველებს დახმარებაზე უარი განუცხადა, გაზეთი ასეთ საქციელს გამოუსწორებელ შეცდომად სთვლის.

— მთაშაველებმა თავიანთი სატახტო ქალაქი—(ცეტინიე ამ ორი დღის წინად) დასცალეს. ყველა დაწესებულება გაიტანეს სკადრსა და პოდგორიცაში. ამის გამო მათი მეფე ნიკოლოზ მოუწოდებს ხალხს კვლავ მედგრად იბრძოლეთ და მონობას სიკვდილი არჩიეთო.

— მთაშაველთა ჯარი ალბანეთისაკენ იხევს.

— რკინისგზაზე მომუშავეთა ყრილობაზე წარმომადგენლებმა იძულებითი მუშაობის წინააღმდეგ ილაპარაკეს.

## ბრძოლის ველზე

დამარცხებული სერბეთის ჯარის ერთმა მცირე ნაწილმა, როგორც ვიცით, მთაშავეთს შეაფარა თავი და მთაშაველებთან ერთად სამ მხრით მოწოლილ ავსტრია-უნგრეთის ჯარებს უმკლავდებოდა. მთაშავეთის ტოპოგრაფიული მდგომარეობის ძალით, ჯარების მოძრაობა გაძნელებული იყო და მკაცრი ბრძოლა [illegible]

[illegible]

მგზრ.

### თბილისი, 6 იანვარი.

**ჩვენ, სოციალისტები და ქალაქის არჩევნები.**

ერთად-ერთი სავალდებულო პრინციპი [illegible] ერთად-ერთი [illegible] ტაქტიკა ეროვნული დარაზმულობაა. [illegible]

[illegible] ქართველ ხმოსანს ვერ გაიყვანს. ათას ოთხასზე მეტი ხმა სრულიად გაუქმებულია, ერთი მეხუთედი ქალაქ თბილისის მთელი საარჩევნო ხმისა.

[illegible] ნო ხმასთან შედარებით სხვა სიტყვით ეროვნული პროპორციულობის პრინციპი წამოვაყენეთ. ხმოსანთა სავარძლების ამ სამართლიან განაწილებისაკენ წაგვიყვანდა საარჩევნო „ტეხნიკის“ შეცვლა: საარჩევნო უბანთა გამრავლება, ვსთქვათ ქალაქის დაყოფვა 12 საარჩევნო უბნად. ასეთი განაწილება ქართველობას შეძლებას მისცემდა თავის საკუთარის ძალით თავის წარმომადგენლები გაეყვანა **ყოველ შემთხვევაში.** ქართველი შევიდოდა ქალაქის თვითმართველობაში არა სომხის კეთილ-გუნების ნებართვით, არა სხვის მოწყალებით; არამედ თავის თავად ისეთი ობიექტიური პირობები შეიქმნებოდა, რომ არ შეიძლებოდა ქართველების ხმებით ქართველი ხმოსანი არ გასულიყო.

უმაღლესად ყურად საღებია, რომ ქალაქის სომხური თვითმართველობა, რომელსაც პირველ მართებდა თავის აზრის მოხსენება საარჩევნო „ტეხნიკის“ უბრალო შეცვლის შესახებ, მთელის შემადგენლობით ამ უბრალო რამის წინააღმდეგ წავიდა და დაჟინებით, მრავალგზობა იშუამდგომლა, რომ ისევ ისე შვიდი საარჩევნო უბანი დარჩენილიყო, ესე იგი რომ ფაქტიურად კერძოდ ქართველებს არ მისცემიყო **შეძლება** თავისი წარმომადგენლების გაყვანისა საკუთარის ქართველის ძალით. როდესაც საქმე ფაქტიურ უფლების მინიჭება—გამორკვევაზე მიდგა, როდესაც საქმე მიდგა ისეთ ობიექტიურ პირობების შემოღებაზე, რომელიც ქართველობას, სომხობის სურვილ-ნებისყოფის გარეშე, ყოველთვის თავის წარმომადგენლების არჩევას შეაძლებინებდა, სომხობამ დაურიდებლად გაილაშქრა ასეთი წესის შეწყნარების წინააღმდეგ. იგი ამჯობინებს სამადლოთ, თუნდაც ათი ქართველი ხმოსანი შეიყვანოს ქალაქის თვითმართველობაში, ვიდრე ერთი ქართველი ხმოსანი ქართველების ხმებით და ნება-სურვილით იქმნას გაყვანილი. ეს თვალში მცემი ცინიზმი უნდა კარგად ახსოვდეთ იმ ქართველ სოციალისტურ პარტიებს, რომელნიც ეტმასნებიან ბ-ნ ბაბოვების „დემოკრატიულ“ საარჩევნო პარტიას. ჩვენ დაგვიგმია ქართულ სოციალისტების გულგრილი ცქერა იმ ეროვნულ უფლებისა და თავმოყვარეობის აშკარა აბუჩად აგდება, გათელვაზე, რომელიც დღისით მზისით ჰხდება ქალაქ თბილისის საარჩევნო ცხოვრებაში. მათთვის არაფერია ეროვნული პრინციპისა და უფლების დაცვა-ხელშეუხებლობა; ისინი უფრო მაღლა აყენებენ და აფასებენ, თუნდაც მოწყალების სახით, თვითმართველობაში ერთი-ორი სავარძლის მიღებას, ვიდრე ჩვენი სამართლიანი ეროვნული მოთხოვნილების დაცვას. მათი პარტიული საქმისა და თვითკმაყოფილებისთვის საკმაოა იქ ორი-სამი პარტიული ორატორი ყვანდეთ, თუნდაც ამის ფასად ეროვნული ინტერესი და [illegible] ილახებოდეს.

[illegible] ხელგაწვდილი მათხოვრობა, მოწყალების მიღება, ვიდრე ღირსება-მოსილი ბრძოლა ფართე ეროვნულ ნიადაგზე თბილისის არჩევნებში! და ამას ჩადიან დემოკრატიის პრინცისპის გულისათვის!! ამას ეძახიან დემოკრატიის საქმის გაკეთებას! ამ სამოსელით-კი იფარება პარტიული სულმოკლეობის სიდუხჭირე. დემოკრატიული პრინციპი და დემოკრატია ჩვენს წარმოდგენაში მრავალჯერ მაღალ ღირსებიანია. შეგნებული ეროვნული დემოკრატია, ისე როგორც არა-დემოკრატიული ქართველობა, ერთი სიტყვით მთელი თბილელი ქართველობა, რომელიც მეტ შნოსა და იერს გამოიჩენს ეროვნული სახეობის და ინტერესების დაცვაში, ვიდრე პარტიული ავადმყოფობით შეპყრობილი სოციალისტები, ჩამოშორდებიან ამ უკანასკნელთ და ჩვენთან ერთად გაიზიარებენ ამ დევიზს: **კანონის და უფლების სახით თბილელ ცენზიან ქართველობას პროპორციით შესაფერი ხმოსანთა რიცხვი მიეკუთვნოს ქალაქის თვითმართველობაში,** თბილელ ქართველობის ეროვნული შეგნება ჩვენთან ერთად მოითხოვს: **ეროვნულ პროპორციულ წარმომადგენლობას.** თბილელი ქართველობა, ვიდრე მისი ეროვნული უფლება და ინტერესი ასე პატივაყრილია დღევანდელი საარჩევნო წესით, ულირსად ჩასთვლის ქალაქის თვითმართველობაში სხვათა მოწყალებით შევიდეს, იგი ჩვენთან ერთად დაირაზმება, დაადგება აქტიურ ბოიკოტის გზას, შეუდგება ცხოველ და შემოქმედ ბრძოლას, ბრძოლას უფრო საძნელოსა და სასტიკს, ვიდრე ყუთში კენჭის ჩაგდებაა; იგი იბრძოლებს ვიდრე სამართლიან ეროვნულ მოთხოვნილებას ანგარიშს არ გაუწევს სომხის თვითმართველობა და ადგილობრივი მთავრობა. მაშ, აქტიური ბოიკოტი და ბრძოლა ეროვნული პროპორციული წარმომადგენლობისათვის!

## რუსული პრესა

თანამედროვე ომმა რუსეთის ფინანსები ძირიანად შეარყია. სახელმწიფოს განსაკუთრებული საფინანსო ზომების მიღება უხდება, რომ ამ მსოფლიო ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. მაგ. სამხედრო ხარჯები 1915 წელს 1 ღვინობისთვემდე უდრიდა 7,700 მილ მანეთს. უკანასკნელ 3 თვეში ფინანსთა მინისტრის გამოანგარიშებით დასჭირდება კიდევ 2 მილიარდი. თუ ომი ერთი წლით კიდევ გაგრძელდება მაშინ სამხედრო ხარჯები 18 მილიარდს გადააჭარბებს. საახალწლო ნომერში გაზეთი „რუს.

## მარტოობის ორდენის კავალიერი

**გალაქტიონ. ტაბიძე.**

(დასასრული)

დ.

როგორც კი გადაფურცლავთ მის პირველ წიგნს, ძალიან გაძრცვნილს, თუმცა არის რაღაც ცდა ბუტაფორიით შელამაზების, თქვენ დაგქროლებთ შემოდგომის სუნი. წიგნზე მოთავსებული სურათი ძალიან პრიმიტიული, რომ ითქმის რამე იმაზე, მაგრამ არის რაღაც მგძნობიერი განჭვრეტა... ქალს, რომელიც ალბად მუზასა, ხელში უჭირავს ქნარი, არ იცი სძინავს, თუ მოთენთილია, ალბად სძინავს, ირგვლივ გაბნეულია ყვავილები, ყოველ შემთხვევაში ეს მიახლოვებითი სიმბოლოა გ. ტაბიძის მგოსნური სახის:

მე ყვავილები მესიზმრებოდა
და ყვავილებს მე ვესიზმრებოდი.

წიგნის პირველ სტრიქონებზე ათამაშებდა შემოდგომის ყვითელი ფოთლები.

ობოლ ფოთლებს ნაზ ყვავილებს
შემოდგომა თავზე ივლებს
კორდი კდემით თვალებს ნაბავს
მორცხვათ თავს ხრის, სუნთქვას სძაფავს
ტანთ გახდილი და შიშველი
ველი კვის, ვერ მიშველი.

ლექსი: „შემოდგომა“.

შემოდგომის დღე... შემოდგომის დღე
დღე ნაღვლიანი, ლონე მიხდილი
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი
როგორ ირხევა გაძარცული ტყე
შემოგომის დღე... შემოგომის დღე!..
სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი
გაყვითლებული უდროვოთ მჭკნარი,
დაბერავს რისხვით, დაბერავს ქარი
გაყვითლდა მდელო, გაყვითლდა მოლი
სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი...

ლექსი: „შემოდგომის დღე“.

შემოდგომისა ველურ ჰანგში
ჰქნება ფოთოლი
ყმაწვილი გულიც უნუგეშო
ფიქრებში დნება.

კიდევ რამდენიმე სტრიქონი და შეხვედით შემოდგომის ბაღში... თითქო მხრებზე გეცემათ მოწყვეტილი გამხმარი ფოთოლი, „რომელსაც ღმერთი არ სწამს“ და ამბობენ უკვდავ ზღაპარს დამჭკნარ სილამაზეზე, ახალგაზდობის ჭალარაზე, ალერსისთვის გაულვიძებელ სულის სიკვდილზე... ხედავთ თეთრ ნამის წვეთებს, ეს თქვენი ცრემლებია: როდის დაღვარეთ ამდენი?..

და აიშლებიან ქარავნები აუხდენელ ფიქრების:

აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს,
ძველ ოცნებებზე რომელი არ სწუხს!..
ვსწუხვარ, ვეძახი დამარხულ წარსულს
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს!..

აქ დაადებს პოეტს თავზე ხელს ედგარ პოეს ეშმაკი და უჩვენებს მწუხარე მხარეს მდინარე ზაირის ნაპირებზე და ამღერდება სიჩუმე და მარტოობა მწუხარე ღამეში... უდაბნო იზრდება, უახლოვდება და ელეაზარივით უწვება საწოლზე როგორც ცოლი და ატირდება პოეტის ქნარი; „მარტოობით შექმნილი ქნარი“.

დღესაც მარტო ვარ... სიყვარულის
არ მესმის ნანა
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი
ქვეყანა,
მოვკვდე და გული ვის დავსწყვიტო
ვინ დავაობლო
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა, ჩემი
სამშობლო...
. . . . . .
. . . . . .

ეს ლექსი ერთი საუკეთესოთაგანია წიგნში. აქ პოეტი მიდის ნამდვილ მოდერნისტულ გრძნობის ჟონგლერობამდე და თვრება მარტოობით. ნ. ბარათაშვილის შემდეგ ბალიშს ცრემლით ეს ლექსი დაგასველებიეს. არიან პოეტები, რომელთაც შორიდან უყურებ... გრიშაშვილის შაირის წყარო გაბრმავებს, მაგრამ არჩევ რომ ის სხვაა. გ. ტაბიძე თითქო შენში სტირს, შენი თვალებით, იგი ახლობელია, საყვარელი და მიყვები იმას:

და გავყვები მე ჩემ მარტოობის გზას
სამარისაკენ მიმავალ გზამდე.

ჯერ არ შესჩვევიყო პოეტი თავის თანამგზავრ მარტოობას, არცა ენახა იგი, მაშინ ის ეძებდა უხილავს:

ხშირად ვოცნებობ ჯ შევსცქერი ცას
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას!..

მაგრამ ცხოვრების გზა-ჯვარედინზე გამოჩნდება შავი ყორანი, სიმბოლო ორი ცხოვრების, მარტოობის აქეთ და იქეთ მხარის და დასჩხავის: „ნუ იხედები, ნუ იხედები“...

გზაზე მივდივართ... მსურს გავაკვლიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი
შავი ყორანი უკან მომჩხავის
შორს ნუ გასცქერი, შორს ნურვის ელი...

ასე შეეჩვია მარტოობას და დაეკიდენ მისი ორდენის ბრილიანტები:

ახალი მხარე... ახალი ბინა
ჯადოთა მხარე .. შიშველ-ტიტველი
მე მარტოობამ შემამჩნევინა.

გძელია გზა „სამარისაკენ მიმავალი“ და დიდებულია პოეტის სვლა... აქ ას გაგონებს, ჟამიანობის დროს მღვდელი რომ თავის-თავს უკითხავს გამოსათხოვარს.

ხვალ არ ვიქნები ქვეყანაზე
და ამიტომ მსურს
ვიპოვო რამე, რომ წაუღო
ზეცას მედიდურს

უკეთესი საჩუქარი რა იქნება მედიდური ცისთვის, როგორც დამწვარი პოეტის სული!..

ე.

ლექსი გალაქტიონ ტაბიძის მოწყვეტილია, უჩვეულო მოკლე სიტყვებში იშლება... მას აქვს რაღაც ჯადო რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმიულად ცეკვავენ, თითქო „ფერხულს უვლიან ნიავის ველურ სიხალისეში“ ყრუდ დაბადებული იქნება ვინც იმაში მუსიკას ვერ მოისმენს და საკვირველი ის არი, რომ მუსიკა შინაგანი, ბუნებრივად არი გამოწვეული და არა იმ აკრობატიული ლექსის შეზელით, ჩვენში, რომ ბევრი ფონს გადის... ზევით ამონაწერი ლექსები ამტკიცებენ ამას, მაგრამ მე არ მომწყინდება მშვენიერი ლექსების ამოწერა:

ზეფირს ფოთლებით
კალთა ევსება
ზამბახს ოცნებით
ელერსება:—
—„გამომყე წამო
ხაროზს მიდამო.!..
ზეფირს ქნარი აქვს
დაუგდე ყური
დაგწვავს, მოგხიბლავს
ჰანგი ველური
დაგძლევს ექსტაზი
ციური ნაზი...
. . . . . .
. . . . . „ტყეში“

განა არ მაგონებს ეს ლექსი პოლ ვერლენის ლექსის ინსტრუმენტაციას, ფრთა აშვებულ ფრენას ვერლემანისას, რომელმაც სთქვა: მუსიკა, მუსიკა ყველაზე უწინ (Art. Poetique): აბა შეადარეთ:

La lune blanche
Luit dans les bois;
De chaque branche
Part une voix
Sous la ramée...
O bien aimée
L'e tang reflète,
Profond miroir,
Lasilhouette
Du saule noir (saule)
Où le vent pleure...
Rêvons: c'est l'heure...
. . . . . . .
. . . . . . .

ლექსი: La lune.

ქართული ენა მრავალ შესაძლებლობას ინახავს, ყოველ შემთხვევაში ქართველი პოეტების წინ დიდი ასპარეზია: ლექსთა გძელთა თქმის დახევის, მხოლოდ ხელ-მარჯვები იგვიანებენ.

ლამაზი შედარებანი, მეტაფორები გ. ტაბიძის უბრუნებენ ქართულ მწერლობას ბრწყინვალე პერიოდს... უკანასკნელად მწერლობაში შემოიპარა რუხი არმია მელექსეების, რომელნიც კარგს არაფერს უქადიან პოეზიის მომავალს. შოთა დაგვავიწყდა, აკაკი და ვაჟა ისტორიაა; მართალია არიან გრიშაშვილი და შანშიაშვილი, მაგრამ ისინი მარტო ხომ ვერ გამოიყიდიან მთელი მწერლობის ცოდვას:

გრიშაშვილის მეტაფორა ველურია და მჭრელი.

შენი ტანი, დროშის ტარს ჰგავს,
ამართულსა, ასულს, აყრილს
შენი ტუჩი ფინჯანსა ჰგავს,
ვარდის ფინჯანს, ნამ გადაყრილს...

სანდრო შანშიაშვილის ლექსი უფრო დარბაისელია იმას ემჩნევა კლასიციზმი თუმცა არ არი ეს დამახასიათებელი მაგრამ მაინც აი მაგალითი:

მიყვარს ცხოვრება ფაფარ აშლილი
შფოთის მინდორი მაზე გაშლილი!..

გ. ტაბიძის ლექსებიც მდიდარია პოეტური სახეებით, ამასთან ეს სახეები უშუალოთ განცდილი არიან შადრევანივით ამოდის, არ არის წიგნით მოწერილი ან ძალით გამოგონებული, ყველას უაღრესად ქართული სული აქვთ:

ა.

ობოლ ფოთლებს ნაზ ყვავილებს
შემოდგომა თავზე ივლებს...

ბ.

ღამის სიცილი დასცურავს ქვეყნად
ათეთრებული და მოვერცხლილი

გ.

ღრუბელთა შორის ისე სწევს მთვარე
როგორც ცხედარი ვერცხლის კუბოში...

ვ.

ამ პატარა ესკიზში ფრთა-ფარფატა შეხებაც კი მისი პოეზიის მოტივების შეუძლებელია, რომ წერილის მთლიანობა არ დაირღვეს ისე მრავალმხრივია და ინტიმიურად ღრმა ეს პოეზია. პირველი წიგნის გ. ტაბიძე არ მღერის ჯერ „ქაიასის ხველაზე“ ამისთვის ხმა არ აყვება მაგრამ, მისი გამოჩენა მაინც ბევრის მაჩვენებელია...

იმას აქვს ძლიერი ტემპერამენტი და მხატვრული გულწრფელობა, მისი ლექსი განცდილია და ლამაზი. პოეტის სახელს უკავშირებენ ერთ ცნობილ მიმართულებას, მხოლოდ ეს წიგნი დაწერილია პირობითი პოლიტიკურ და სოციალურ sina crae et studio, რაც მის ღირებულებას ამაღლებს დაააშკარავებს მასში ნამდვილ მხატვარს. გ. ტაბიძეს აქვს მთელი ციკლი რომანტიულ პიესების საქართველოს წარსულიდან, ეს ლექსები ამ წიგნში არ მოხვედრილან, გარდა ერთისა „სამშობლოში“ რომელიც თითქო შესავალია ამ ციკლისა... ამგვარი ჟანრის ლექსები ჯერ მარტო შალვა ამირეჯიბს აქვს დაწერილი უტყუარი ნიჭით და პოეტური პათოსით, თუმცა ჩვენი საზოგადოება არ იცნობს ამ ლექსებს, მაგრამ ეს ისეთი გადანახული საუნჯეა, რომ როცა ნახავს შემდეგში მაინც გაიხარებს ნამდვილი სიხარულით. არ არის საჭირო ლოცვა იმაზე რომ პოეტის ნიჭი აყვავდეს, როგორც არ არის საჭირო მზის ამოსვლაზე ლოცვა... მზე უნდა ამოვიდეს ყოველ დღე და პოეტის სიმღერაც მაღლდებოდეს, იზრდებოდეს სიახლით და სიძლიერით.

საით მივყევარ ჩემ მოწყენილ გზას
სად ვჰპოვებ შვებას მიუსაფარი?!
რას მომცემს ისეთს მე საქართველო
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?..
კითხულობ შენ?..

საქართველოს ჯერ შეუძლია მარტო ტანჯვის და წამების მოცემა, მაგრამ ეს დიდი ძლევენია... შენმა ქნარმა უნდა აამღეროს ეს ტანჯვა სთქვას საქართველოით ნაწამები ქებანი... მაშინ მოწყენილი გზა წაგიყვანს დიდებისაკენ და ეს იქნება უდიდესი შვება მსხვერპლის მიმღებისა და მიმცემისაც...

ტ. ტაბიძე.

ქ. მოსკოვი.

ვედ.“ ასე აგვიწერს საერთო მდგომარეობას:

ყველა იმ აუარებელ ხარჯების დაფარვა სახელმწიფოს ჩვეულებრივ შემოსავლიდან ყოვლად შეუძლებელია. თვით სახელმწიფო სესხსაც კი არ ძალუძს ამ ხარჯების გაძლოლა. სწორედ ამ მოსაზრებამ აიძულა თითქმის ყველა სახელმწიფოები გამოეშვათ ქაღალდის ფული.

როგორც სახელმწიფო ბანკის ბალანსიდან სჩანს რუსეთს 1915 წელში გამოუშვია 5,304,619,229 მანეთის ქაღალდის ფული. 1914 წელს კი ქაღალ. ფული სულ 1,633,374,872 მანეთისა ყოფილა. მაშასადამე ომის საჭიროებისათვის 4 მილიარდის ქაქაღალდის ფული ზედმეტი გამოუშვიათ. სამაგიეროდ ოქროს ფული 1915 წელს რუსეთში სულ იყო $1^1/_2$ მილიარდზედ ცოტა მეტი, საზღვარ გარედ 270,009,152 მანეთისა. სულ სახელმწიფო ბანკს ჰქონია ოქრო 1,881,749,135 მანეთის.

აქედან სჩანს რომ რუსეთს 5 ნახ. მილიარდის გასანაღდებლად აქვს მხოლოდ 2 მილიარდის ოქროს ფული. აი ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ საზღვარ გარედ რუსეთის მანეთის ღირებულება დაეცა. დღეს ღირს მხოლოდ 64 კაპეიკი. ამ ფაქტს მთავრობა თვითონვე აღიარებს და ანგარიშსაც უწევს.

შემდეგ გაზეთი შიშს გამოსთქვამს საერთო მდგომარეობაზეც და თან მოითხოვს, ჯერ-ჯერობით მაინც შეაჩეროს სახელმწიფო ბანკმა ქაღალდის ფულის გამოცემა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება რუსეთის მანეთს საზღვარ გარედ ღირებულება დაეკარგოს.

# თურქების პრესა

„შედეგები ომისა“ ამ სათაურით გაზეთი „ზესირეთი“ სწერს:

„1914 წელს, ევროპის ომის დაწყების პირველ ხანებში ზოგიერთი ევროპიელი ომის მიმომხილველი სპეციალისტები გადაჭრით გაიძახოდენ, რომ ეს ომი სამ-ოთხ თვეში მოთავდებაო, მაგრამ ზოგი კი ომის ოპერაციას არა თუ რამდენსამე თვეს ანდომებდა, არამედ რამდენსამე წლებს. ამ უკანასკნელთა შორის ასეთი აზრის იყო ინგლისის ეხლანდელი სამხედრო მინისტრი ლორდი კიტჩენერი. ეს გენერალი ამბობდა: ომის ოპერაცია სამს წელიწადს მაინც გასტანსო. და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ომი 18 თვეს გაგრძელდა, დასასრული არ უჩანს.

დღევანდელ ომში ჩარეულ სახელმწიფოთა გრძნობა, სურვილი და ძლიერება თითქოს შესუსტდაო. ბრძოლის პირველ ხანებში ინგლისსაფრანგეთ და გერმანიასავით გამოულეველ სიმდიდრის მქონე სახელმწიფოებიც შიშობდნენ—ომის ხარჯს რამდენსამე თვეზედ მეტს ვერ ავიტანთო. მიუხედავათ იმისა, რომ დღეს მთაშავეთსა, სერბეთსა და ბელგიასავით პატარა სახელმწიფო ჯერაც კიდევ მტრებთან ბრძოლას განაგრძობენ, ბრძოლის დასაწყისშივე გარდაწყვეტილი და მიღებული ზოგიერთი გარემოებანი კვლავ არსებობს, თუმცა ზოგი იმარჯვებს და ზოგიც მარცხდება. მაგალითად ომის გამოცხადებიდან დღევანდლამდე ზღვის ბატონობა კვლავ ინგლისის ხელშია, გერმანეთის სამხედრო დესპოტის ქანდაკება ჯერაც არ დამხობილა. ეს არის რომ სხვა და სხვა და ნაირ-ნაირი ჩარჩოებით კაცობრიობის თვალწინ მოვლინებულმა ომმა, სხვა და სხვა სახით და კალაპოტებში მოქცევით ოპერაციებმა, სხვა და სხვა ნაირად შეცვლილმა სამხედრო მოქმედებამ ვერც ინგლისის ზღვაზე ბატონობას და ვერც გერმანეთის სამხედრო ქანდაკებას სძლია.

გერმანეთი სცდილობს ინგლისის ზღვაზე მოპოვებულ საშინელ გავლენისგან თავი იხსნას და ამისთვის არავითარ საშუალებას არ ერიდება, ინგლისიც თავის მხრივ სცდილობს გერმანეთის ძლიერება შეასუსტოს. (25—30) მილიონი ჯარის, ათასობით ზარბაზნების, საზარელი დრედნოუტების, ცეპელინების, წყალქვეშა ნავების და შხამიან გაზების საშუალებით დაწყებულს და გაგრძელებულს დღევანდელ ომს, მის ძლიერებას და სხვა გამანადგურებელ ძალებს დიდხანს რაკი ვერ გაუმაგრდენენ, ბელგიას და სერბთსს, თავის სინდისისა და მთელი კაცობრიობის წინაშე აღთქმულ მოვალეობის აღსრულების შემდეგ ძალა უნებურად ბრძოლის ასპარეზის მოედანი უნდა მიეტოვებინა. დარჩა მთაშავეთი და ეს მხოლოდ მიტომ, რომ მას ბუნებრივი გარემოება ხელს უწყობს და მტერს ჯერჯერობით ქედს არ უხრის.

დღეს-დღეობით პატარა სახელმწიფოთაგან ბრძოლის ასპარეზზე მხოლოდ მარტო ერთი ბულგარეთი რჩება, რადგან მას დასავლეთის მხარეს გერმანეთი და ავსტრია და აღმოსავლეთის მხარეს კი ოსმალეთი ზურგს უმაგრებს და რაკი ომში ეხლახან ჩაერია, შეიძლება თავი დაიფაროს.

მაგრამ ბულგარეთს ძლიერ აშინებს რუმინეთის გამოურკვეველი მდგომარეობა. რუმინეთი ომის დასაწყისიდანვე დიდს მოლოდინში და ორჭოფობაში იმყოფება: რუმინეთში პოლიტიკურ პარტიათა შორის ატეხილი განხეთქილების შედეგი ჯერჯერობით არ სჩანს. და რომელ პოზიციას დარჩება გამარჯვება, გამორკვეული არ არის.

მაგრამ ეს თუ სავსებით გამოურკვეველი დარჩა, მაშინ რუმინეთს ხან ბესარაბიისკენ ბ ხან ტრანსილვანიისკენ უნდა ეჭიროს თვალი და რყევაში იყოს. ეხლა სპარსეთი და საბერძნეთი რჩება. მართალია, ძალით, სიმდიდრით და განათლებით ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან, მაგრამ ერთი და იმავე სვე-ბედისა და გარემოების წინაშე იმყოფებიან. დღეს ეს ორი სახელმწიფო ფორმალნეიტრალობას იცავენ, მაგრამ ამ ნეიტრალობით ომისაგან მიყენებულ უბედურებისაგან თავს ვერ იხსნიან. მათი გეოგრაფიული მდებარეობა მებრძოლ სახელმწიფოთათვის ბრძოლის მოედანს წარმოადგენს და ნეიტრალობაც ვერას უშველის.

# ახალი ამბავი

**კახეთის რკინის გზაზე.** 3 იანვარს, დილის 8 საათზე, კახეთის რკინის გზის დასათვალიერებლად ნავთლუღიდან საგანგებო მატარებლით გაემგზავრა რკინის გზათა უწყების განყოფილების უფროსი ბ-ნი ბელოვი, რომელსაც თან ახლდა კახეთის რკინის გზის გამგე გ. პ. თუმანიშვილი. ბ. ბელოვმა დაათვალიერა რკინის გზა თელავამდე და წნორის წყლამდე და საღამოს 11 საათზე დაბრუნდა თბილისში.

**ქართული წარმოდგენა,** დღეს, 6 იანვარს, ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილისა და ბ-ნ ვასო აბაშიძის მონაწილეობით ქალ. გორში წარმოდგენილ იქნება „რას ვეძებდი, რა ვიპოვე“.

**უბედური შემთხვევა.** 31 ქრისტეშობისთვეს საგარეჯოს სადგურზე, როცა მატარებელი წყლის ასავსებად მიჰყავდათ კრანზე, კონდუქტორმა ესებუამ გაქანებულ ვაგონზე შეხტომა მოინდომა, მაგრამ ფეხი აუცდა, ძირს ჩავარდა და თავი გაიტეხა. დაშავებული გურჯაანში გაგზავნეს საექიმოდ.

**შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ, თანახმად ლეონიდე ეპისკოპოსის შუამდგომლობისა, 100 მანეთი გადასდო თეკლათის დედათა მონასტერში არსებულ სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

**ახალი სკოლის დაარსება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ, თანახმად ახალციხის განყოფილების შუამდგომლობისა, დაადგინა გახსნას ახალციხეში პირველ დაწყებითი სკოლა გადმოხვეწილთა ბავშვებისათვის, მაგრამ განყოფილებამ წინასწარ უნდა წარმოუდგინოს მთავარ გამგეობას სკოლის ხარჯთაღრიცხვა.

**მისიონერის ჩამოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა ჟენევიდან პროტესტანტების მისიონერი მაკლუბი, რედაქტორ-გამომცემელი სომხურ გაზეთის „ავეთაბერისა“, რომელიც სტამბოლში გამოდიოდა. მაკლუბის ჩამოსვლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს გადმოხვეწილ სომხებს.

**წარჩინება.** თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, უმაღლესი კარის კამერ-იუნკერს, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს ებოძა კამერგერობა.

**გადმოხვეწილთა დახმარება.** თბილისის გუბერნატორმა გადასცა ქალაქის ცენტრალ კომიტეტს 10.000 მანეთი გადმოხვეწილთა სასარგებლოდ.

**მორიგი კრება.** ხუთშაბათს, 7 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე, მორიგი კრება ექნება ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. შესამუშავებელია მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა და შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში.

**ახალი წინადადება.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის წევრმა ბ-ნმა შიო დედაბრიშვილმა წინადადება წარადგინა გამგეობაში, რომ საზოგადოების ნამდვილ წევრთაგან შესული ფული ხელუხლებლად დარჩეს და ამ ფულებიდან შედგეს ერთი განსაკუთრებული თანხა, უნდა იხარჯებოდეს საზოგადოების საჭიროებისათვის მხოლოდ სარგებელი ამ თანხისა.

**ღონისძიებანი წევრების შესაძენად.** ბ-ნმა გ. გორდეზიანმა წინადადება წარადგინა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, რომ წევრების შესაძენად საკვიტანციო წიგნაკები დაიბეჭდოს და თითო წიგნაკში იყვეს 10 საკვიტანციო ფურცელი. ეს წიგნაკები უნდა დაურიგდეთ საიმედო წევრებს ახალი წევრების შესაძენად. ბ-ნი გორდეზიანი თითონ კისრულობს რამდენიმე ასეთი წიგნაკის წაღებას წევრების მისაღებად.

**საზოგადო კრება.** ხუთშაბათს 7 იანვარს ნაშუადღევის 1 საათზე თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობის მიერ დანიშნულია საზოგადო კრება ხელოსანთა დარბაზში, წარსული წლის ანგარიშის დასამტკიცებლად და მომავალ წლის საქმეების გასათვალისწინებლათ. იმედია ამხანაგობის წევრნი ყველანი დაესწრებიან.

**საგანგებო კრება.** 10 იანვარს, დილის 11 საათზე, დანიშნულია ხარფუხის კლუბის წევრთა საგანგებო კრება. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები. კრება ბარტის შენობაში შესდგება (მიხეილის ქუჩა, 129).

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი წერილი „ქართველი ჯარისკაცები და მათი ოჯახის ბედი“, ხელმოწერილია პსევდონიმით „ქართველი“, უნდა იყოს „ქართლელი“.

გუშინდელი მეთაურის ბოლო სტრიქონებშია „როგორც ეს საქართველოში დავასაბუთეთ“, უნდა იყოს „როგორც ეს „საქართველოს“ 174 №-ში დავასაბუთეთ“.

# ყოველ დღე და არასოდეს

საქართველოს რუქა საქართველოს შვილთა მიერ შეუსწავლელია, უცნობი. ყოველ დღე ახალ კუთხეს მივაშტერებთ ყურადღების დურბინდს და არასოდეს მოვიცლით მის გასაცნობად. საქართველომ, როგორც ასეთმა, ვერ შეჰქმნა დღემდის საღი ეროვნული ორგანიზაცია, ისეთი დაწესებულება, ანუ საზოგადოება, რომელიც ყოველ შემადგენელს ჩვენს რუქის ნაწილს ყოველს გასაჭირში სასურველ კვესად მოევლინონ. რაშია, როგორ მიდის ჩვენი ცხოვრების ვითარება? ვიცით და არც ვიცით. რა ყოფაშია სოფელი? ვიცით და არც ვიცით. რა გავლენა იქონია სოფელზე ომმა? ვიცით და არც ვიცით. ვინ ჰპატრონობს სოფელს? ვიცით და არც ვიცით. რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ, უეჭველია, ჩვენი პროვინცია არც იმდენს გაჭირვებაში იქნებოდა, რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენი სოფელი ნახევრად დაპყრობილი გვეყოლებოდა; რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენს სოფელს ვერ გაიბურთავებდნენ თავნება ვაჭარ-ჩარჩები თუ „ჩინების“ მოტრფიალე მამასახლისი თუ გახელებული ბოქაული.

აი, დღესაც ჩვენს გაზეთში იბეჭდება სვანეთის გაჭირვების ამბები. ყრუ და მივიწყებული, ველურად მიშვებული, უპატრონო სვანეთი შველას თხოულობს, მაგრამ ვინ და როდის დავუგდეთ ყური? ვინ და როდის გამოვექომაგეთ? განა გასაკვირველი იქნება თუ რომელიმე თავქეიფა ბოქაული ადგება, ცხვრის ფარასავით დაილალავს მას და იმდენად გათავხედდება, რომ „ჩინის“ გულისთვის 400 კაცი სახელმწიფოს მოღალატედ გამოაცხადოს? და რამდენი კუთხეა სვანეთის მდგომარეობაში? ვიცით რაიმე ფშავ-ხევსურეთ-თუშთა ცხოვრებაზე? ვიცით სხვა მთიელთა გაჭირვებაზე? ვიცით და არც ვიცით, როგორც ყოველთვის ყველაფერი, როგორც ყოველთვის არაფერი! საქართველოს სჭირია მჭიდრო და რეალი ორგანიზაცია, საქართველოს სჭირია ფხიზელი დაწესებულება, რომ ყოველისფერს გამჭრიახ თვალით სდარაჯობდეს. მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ საჭიროების ვითარებაც ვიცით, ყოველ დღე მის დაარსების შესახებ ვლაპარაკობთ, მაგრამ არასოდეს განხორციელებას არ ვღირსებთ. ძველი უმოქმედობის და უნიათობის ტრადიცია უნდა გადავარდეს და დაიგმოს, როგორც ქვეყნის ენერგიის გამაუქმებელი და ქვეყნის გამაუბედურებელი რამ ძალა.

**ქართლელი.**

# „სახალხო ფურცლის“ პასუხის გამო

„ბრიყვმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო“... ამ ანდაზას ვუბრუნებ „სახალხო ფურცელ-ზვირთ“-ის ჯენტელმენ კალმოსნებს, რომელთა საპოლემიკო იერიში სხვის ზურგის უკან ამოფარების იქით ვეღ მიდის.

ჩემი ფელეტონი „პატივი სცეს“ მარტო სხვათა შორის ეხებოდა ბ. ივ. ალ. ჯავახიშვილის სურათის მოუთავსებლობას. ვამბობ სხვათა შორის, რადგან არ დამისახელებია ჩვენი ისტორიის ბევრი სხვა ქართველი მკვლევარი, რომელნიც „სახალხო ფურცლის“ დამატებაში არ მოჰყვნენ, როგორც მაგალითად: ეპ. კირიონი, ზაქარ. ჭიჭინაძე, ანტ. ნატროშვილი, კ. კეკელიძე, ალ. ყიფშიძე, ავქს. აბესაძე და სხვ. პროფესსორ ი. ჯავახიშვილი მარტო იმ მიზნით დავასახელე, რომ ქართველ მკითხველისათვის მომეგონებინა მისგან ბ. სარგის კაკაბაძის „ისტორიკოსობის“, დახასიათება და სუსხიანი კილოთი გაკიცხვა.

და რადგან მოველოდი „სახალხოელებისაგან“ ასე თუ ისე გულუბრყვილო თავის მართლებას, ამისათვისა ვიხმარე ფრაზა: „ბედის ირონიის წყალობით“... ჩემი ფელეტონის მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული იყო იმაზე რომ ბ-ნი სარგის კაკაბაძე ქართველ მოღვაწე ისტორიკოსთა ჯგუფში იყო მოქცეული „სახალხოელების„ მიერ.

აი, სწორედ ამ საზოგადოებრივ პოლიტიკურ გემოვნებას დღევანდელ ფედერალისტებისას ეხებოდა ჩემი ფელეტონი „პატივი სცეს“.

აფრიკაში დაიარება ერთი ცნობილი ფრინველი—სირაქლემა. ზოოლოგების თქმით ამ ფრინველს საუცხოო კუჭი აქვს... ბევრს რამეს ინელებს, წარმოიდგინეთ რკინეულობასაც-კი—ლურსმნებს, გასაღებებს და სხვ.

ფედერალისტების პოლიტიკური კუჭი დღეს ყველაფერს ინელებს:

ცოტა სოციალიზმსაც.

ცოტა ნაციონალიზმსაც.

ბ. ი. ჯავახიშვილის „თანაგრძნობა—მეგობრობასაც“ და სარგის კაკაბაძეს რენეგატობასაც.

და როდესაც ამდენი რამის მონელება გაუძნელდება ხოლმე, მაშინვე სირაქლემასავით თავის დამალვას ცდილობს და სხვის ზურგს ამოეფარება. მაგრამ ვერც „ზვირთისებური“ ბრიყვი პასუხები და ვერც სხვისი ზურგი ვერ იხსნის ფედერალისტებსა იმ დანაშაულობისაგან, რომ ხელი მიჰყვეს „კავკაზსკოე სლოვოში“ მშრომელ „ისტორიკოს“ სარგის კაკაბაძის გარეკლამებას ქართულ საზოგადოებაში.

არც იხსნის, არც ეპატიება.

და ამიტომ პოლიტიკურ სიბრიყვის ქვის აგდება თვით „სახალხო ფურცელს“ მოუხდენია და რასაკვირველია იგი მისვე თავზე დაეშვება.

**ეკალი.**

# ქალაქის საბჭო

**4 იანარი.**

კრება გაიხსნა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით საღამოს 8 ნახ. საათ. კრებას დაესწრო ორი ახალი ხმოსანი, ბ-ნნი ფორაქაშვილი და მელიქ-კარაკოზოვი, რომლებმაც ამ საღამოსვე მიიღეს ფიცი. თავმჯდომარე მიესალმა ახალ ხმოსნებს და უსურვა მათ ნაყოფიერი მოღვაწეობა.

**შეკითხვა:**

**ხმ. გალსტიანი.** გაზეთებში იყო დაბეჭდილი, რომ სამეურნეო კომისიის წევრებმა თავიანთ თანამდებობას თავი დაანებესო. მართალია ეს ამბავი თუ არა? თუ მართალია, მწუხარება უნდა გამოვსთქვათ, რადგან ასეთ მომენტში არავის შეჰფერის საზოგადო საქმის მიტოვება.

გამგეობის წევრმა **მ. ა. ჯაბარმა** უარჰყო ამ საგნის შესახებ ერთ-ერთ რუსულ გაზეთში მოთავსებული ცნობის სინამდვილე და განაცხადა, რომ ხსენებული კომისიის წევრები ყველანი თავთავიანთ ადგილას არიან და არავინ მათგანი არ ფიქრობს თანამდებობის დატოვებასო.

**შემოწირულების მიღება.**

**თავმჯდომარემ** კრებას მოახსენა, რომ მეფის ნაცვლის თანაშემწედ ყოფილმა გოფმეისტერმა ნ. ლ. პეტერსონმა 29 ტომი წიგნი შემოსწირა თბილისის მომავალ პოლიტეხნიკუმის ბიბლიოთეკას. წიგნები შეიცავენ მასალას ციმბირის რკინის გზის გაყვანის შესახებ და სანამ პოლიტეხნიკუმის ბიბლიოთეკა დაარსდებოდეს, შემოწირული წიგნები ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში იქნება შენახულიო.

კრებამ მადლობის გამოცხადებით მიიღო საჩუქარი.

**მორიგი საქმეები:**

**თავმჯდომარე.** სანამ ხარჯთაღრიცხვა განხილულ და დამტკიცებულ იქმნებოდეს, ნება დართეთ გამგეობას, წინა წლების მაგალითისამებრ, წარსულ წლის ხარჯთაღრიცხვით იხელმძღვანელოს.

წინადადება შეწყნარებულ იქმნა.

ამის შემდეგ საბჭო დაუბრუნდა წინა კრებაზე შეწყვეტილ მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის გასავლის ანგარიშების განხილვას. ამა თუ იმ პარაგრაფის მთელი ჯამის საბოლოოდ დამტკიცება გადადებულია მთელი ხარჯთაღრიცხვის (გასავალი და შემოსავალი) განხილვამდე.

წაკითხულ იქმნა მეორე პარაგრაფი, შესახებ ქალაქის თვითმართველობის გამგეობისა და დანარჩენ მოსამსახურეთა ჯამაგირების, რაიცა უდრის 401.949 მანეთს.

აგრეთვე წაკითხულ იქმნა პარაგრაფი შესახებ ქალაქის პოლიციის მოხელეთა ჯამაგირებისა, რაიცა უდრის 887.934 მან. შემდეგი პარაგრაფი შეეხება ცეცხლის მქრობელ რაზმების ჯამაგირებს, რაიცა უდრის 37.702 მან. შემდეგი მეხუთე პარაგრაფი ეხება ქუჩების გაკეთებას და საზოგადოდ მოწესრიგებას. ამ საქმისათვის ნავარაუდევია ხარჯი 314.944 მანეთი.

ზოგიერთ მუხლების განხილვამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

გაგრძელება ხარჯთაღრიცხვის განხილვისა შემდეგისათვის გადაიდვა.

# 1915 წლის ქრონიკა

**მკათათვე.**

აღიძრა შუამდგომლობა მელვინეთა ამხ. „ალექსანდრეულის“ დაარსების გამო.

— „მეურნეს“ გამგეობის პრეზიდიუმი არჩეულ იქმნა.

— მოკლეს ს. ხ. კიპრიზოვი, ცნობილი ქველმოქმედი, რომელმაც „განათლების“ საზოგადოებას სახლი უანდერძა.

— თბილისში ჩამოვიდა ლ. მ. ლაგოდა, კახეთის რკინის გზის ჩასაბარებლად.

— ექსარხოსს პიტირიმის განკარგულებით ფშავ-ხევსურეთის სიძველეთა გასაახლებლად შესდგა კომიტეტი.

— „ძმური სიტყვა“ გამოიცა და დარიგდა ხალხში.

— გაზ. „საქართველოს“ რედაქციამ დეპუტატ ჩხენკელს საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა მის დუმილის გამო სათათბიროში.

— კახეთის რკინის გზამ მიიღო ვაგონების კომპლექტი.

— ვაჟა გარდაიცვალა.

— გარდაიცვალა მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე და ცნობილი მოღვაწე ალაქერიმ ზეინალოვი.

— სახ. სათათბიროს წევრმა ა. ჩხენკელმა ბ-ნ პეტერსონს დეპეშით მოსთხოვა მხარი დაეჭირა სამურზაყანოს 33,500 დამშეულთა სიმინდით უზრუნველსაყოფად.

— დააპატიმრეს ს. ჯიბლაძე, ცნობილი ჟურნალისტი.

— გამოიცა ალბომი აკაკის რაჭალეჩხუმში მოგზაურობის შესახებ.

**მარიამობისთვე.**

— ვაჟა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

— კახეთის გზაზე სამთავე კლასის ვაგონები აამოძრავეს.

— საქართველოს ეპარქიის სამღვდელოებამ ამომრჩევლად სახელმწიფო სათათბიროში დეკ. ნიკიტა თალაქვაძე აირჩია.

— ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ახალი ინსტრუქტორის ადგილი დანიშნა ივრის პირისათვის.

— აჭარლებმა ქართ. საქ. საზოგად. სურვილი განუცხადეს თავიანთ შვილებს ასწავლონ სათ.-აზნაურო გიმნაზიაში.

— ილორის ტაძრის საქმეების გამო სახელმწიფო სათათბიროს წევრმა აკ. ჩხენკელმა ექსარხოსს დახმარება სთხოვა. ექსარხოსმაც დეპეშით აღუთქვა დახმარება.

— სამეურნეო ბანკის დირექტორი ბ. ყიფიანი ინიშნება ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

— სოხუმის ოლქის მცხოვრებთ მიეცათ მთავრობის დახმარება 130 ათასი მანეთი.

— წ.-კ. საზოგადოებამ გადასწყვიტა ბათომის სკოლაში სწავლის დაწყება, რომელიც ომის გამო შეჩერებული იყო.

— წ.-კ. საზოგადოებას შესწირეს ქუთათურმა ვაჭრებმა, ბ-ნ კოსტაიამ 1000 მან. ხოლო ქუთაისისავე საპროფესიო სასწავლებლის გამგემ ბ-ნმა კორძაიამ მამული, ხუთი ათას მანეთად ღირებული.

— ქართულ საქველმოქმ. საზოგადოებამ [illegible] შემწეობა სთხოვა თბილისის და ქუთაისის გუბერნიების წყალდიდობისაგან დაზარალებულებისთვის.

— ამავე საზოგადოებამ სოხუმში ფილიალი განყოფილება დააარსა.

— სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით დიდი თათბირი გაიმართა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა უზრუნველსაყოფად საკვებ მასალით.

— მეფის ნაცვლად დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დაინიშნა. ნაცვლად გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვისა.

**ენკენისთვე**

— თბილისის გუბერნიაში 7 ახალი წვრილ კრედიტის ამხანაგობა გაიხსნა.

— წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი გაიხსნა ქ. ნუხაში მაჰმადიანთა ხარჯით.

— ქ. გორში ქართ. საქვ. საზოგადოების ფილიალი განყოფილება გაიხსნა.

— ტფილისში ჩამოვიდა მეფის ნაცვლის თაშემწე გენ. ოტ. ინფანტ. ნ. ნ. იანუშკევიჩი.

— გაირჩა „სახალხო ფურცლის“ რედაქტორ თ-დ დ. ჯორჯაძის საქმე „ტრამვაის წერილზე“—პასუხის გებაში მიცემული. სასამართლომ თ-დი ჯორჯაძე გაამართლა.

— თბილისში ჩამოვიდა რუსის მწერალი ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

— ვაჟას 40 დღის წირვა გადაიხადეს დიდუბეში.

— გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლით კავკასიიდან გაემგზავრა.

— ბათომში აჭარელთა საქმის განხილვა დაიწყო.

— სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩევლებად არჩეულ იქმნენ თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი და მ. ვ. მაჩაბელი.

— თბილისში ჩამობრძანდა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

# თბილისის მეს. შემ.-გამ. ამხ. საზ. კრების წინ

სულ სამი ოთხი თვე იქნება, რაც თბილისში წვრილ ხელოსანთა მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება. ამხანაგობას დღემდე ჰყავს უკვე 160 წევრი, სახელმწიფო ბანკიდან აქვს გამოტანილი ჯერჯერობით ათას-ორასი თუმანი, როგორც გძელ—ისე მოკლე ვადიანი სესხი.

დღემდინ ამხანაგობის კასის ოპერაციას შეიცავდა, ამხანაგებზე სესხის გაცემა და მიღება, რაც წესიერად ხდებოდა და მოგებაც თვალსაჩინოდ ჩაითვლება თუ მხედველობაში მივიღებთ პირველ მოწყობის გამო გაწეულ ერთდროულ ხარჯებს—ინვენტარის შეძენას.

ხუთშაბათს 7 იანვარს ამხანაგობის გამგეობის მიერ დანიშნულია საზოგადო კრება, წარსული წლის მოქმედების გასათვალისწინებლად და უმთავრესად კი ამხანაგობას აზრადა აქვს მოაწყოს საშუალო ოპერაციები ამხანაგობის სახელით, რაც საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს მთავრობისგან 21 ენკენისთვეს 1906 წელში გამოცემულ კანონის მიხედვით.

თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ პურის მცხობელნი, მეთონენი და რადგანაც ამ ჟამად, სპეკულიანტთა თარეშობის გამო, მეთონენი მოკლებულნი არიან წესიერად ფქვილის მიღებას, ამხანაგობის უმთავრეს მიზანს შეადგენს საშუალო ოპერაციების მოწყობა ამხანაგობის სახელით, ე. ი. გამოწერა თავის კასის საშუალებით თავის წევრთათვის საჭირო საქონელის: ფქვილი, შეშა და მარილი. ეს ოპერაცია ამხანაგობისათვის სულ ადვილი მოსაწყობია და თავის შინაარსით დიდ მომავალსაც უქადის ამხანაგობას. ამ საქმეში მას საჭირო დახმარებას და კანტროლსაც, კანონის ძალით, სახელმწიფო ბანკი გაუწევს. საჭირო საქონლის რუსეთიდან გადმოტანაში, როგორც ქალაქი ისე მთავრობა დახმარებას გაუწევს, ისე როგორც კოოპერატიულ დაწესებულებას; და ამგვარად შესაძლოა აიშორონ ის საშინელი განსაცდელი, რომელშიაც ამჟამად თბილისის მეთონენი არიან ჩავარდნილნი.

აღსანიშნავია რომ, რადგან ომის გამო რუსეთიდან ფქვილის გადმოტანა საშინლად გაძნელდა და მხოლოდ ქალაქის თვითმართველობის შემწეობით შეიძლებოდა ვაგონების რიგის მიღება და ისიც დიდი გაჭირვებით,—ამიტომ მეთონეებმა შეადგინეს ერთგვარი ჯგუფები, მათ გაუჩნდათ მეთაურები, რომელნიც ჯგუფის სახელით იღებ-

დნენ ქალაქიდან ვაგონების რიგს და იწერავდნენ ფქვილს. ეს მეთაურები იღებდნენ ტომარაზე დადებულ ერთ გვარს გადასახადს, მაგრამ მათ კანტ-ტოლს არავინ უწევდა, და ამიტომ, როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა ზოგიერთ ჯგუფების მეთაურებმა სპეკულიანტებსაც კი გადააჭარბეს თავის ჯიბის გასქელების ზრუნვაში. დიდმა უთანხმოებამ იჩინა თავი „რაჭის“ ფირმის მეთონეთა ჯგუფში, აგრეთვე ეგრედ წოდებულ მეთონეების რაჭიანის ჯგუფში. ეს ვაჟბატონები არ კმაყოფილდებიან ტომარაზე დადებულ საკომისიოთ და ათასგვარი ხრიკებით სწევენ ფასს. ამიტომ მეთონეებს ეძლევათ ეხლა შემთხვევა, დააარსონ თბილისის მესამე შემნახლელ-გამსესხებელ ამხანაგობასთან საშუამავლო ოპერაცია კანონის მიხედვით, რათა ყოველივე მოგება დარჩეს ამხანაგობის კასაში, ამხანაგობის წევრთა სასარგებლოდ და არა თითო ოროლა პირთა მადის დასაკმაყოფილებლად.

იმედია მეთონეები შეიგნებენ ამას და ჩაეწერებიან კანონიერ ამხანაგობაში, რათა მიჰყონ, სულ ახლო მომავალში, ხელი საშუამავლო ოპერაციების არჩეულ გამგეობის საშუალებით.

ზ. ხიდისკარელი.

# კავკასიის ბრძოლის პირიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კარგა ხნის სიწყნარის შემდეგ კავკასიის ფრონტზედ ბრძოლა განახლდა. 29 ქრისტეშობისთვეს რუსის ჯარი ბრძოლაში ჩაება (კეპრიკეის მიმართულებით) თითქმის იანვრის ორამდის ბრძოლიდან აღარ გამოსულა. ოსმალები გამაგრებულნი იყვნენ

მთაზედ. აქ მოხდა რუსებისა და ოსმალების მკაცრი შეტაკება. აქ პირველ რიგის სიმაგრე რუსებმა 30-ში ღამევე აიღეს. როდესაც სიმაგრის მეორე რიგს მიადგნენ ოსმალებმა გააფთრებული წინაალმდეგობა შეაგებეს. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. რუსის ზარბაზნები შეუწყვეტლივ მოქმედებდნენ. ამ ბრძოლის დროს რუსებმა წამოიყვანეს ტყვედ 149 ასკერი, ერთი არტილერიის აფიცერი, ორი სამთო ზარბაზანი, ყუმბარები, ტყვიები და 21 დატვირთული ჯორი. ამავე დროს რუსებმა იერიში მიიტანეს დ — ს მთის სიმაგრეებზედ. სხვათა შორის უნდა ვსთქვა, რომ ამ მიდამოებში 7 არშინის სიმაღლემდე თოვლი ძევს. 1-ს იანვარს ღამის 2 საათზედ რუსის ჯარმა კვლავ იერიში მიიტანა ჯ — ის სიმაგრეებზედ. ეს სიმაგრეებიც აიღეს. აქედან იანვრის 2-ს წამოიყვანეს ტყვედ: ერთი გენერალი, 12 აფიცერი 200-ზე მეტი ასკერი, 4 ზარბაზანი და სხვა. ზოგიერთი ტყვეები არ ტყდებიან და ჰფიქრობენ, რომ გადაცმული გერმანელები არიანო.

მიხ. ლომიძე.

# წერილი შულავერიდან

ამ მაზრის ქართველობაზე უფრო ჩამორჩენილი ქართველობა, ნივთიერად, თუ განათლების მხრივ მთელს საქართველოში არ მოიპოვება. აქ იშვიათად შეხვდებით პირველდაწყებით სასწავლებელს, თითქმის ვერსად იპოვით მოინტელიგენტე ქართველს, რომელსაც შეეძლოს გონიერი რჩევა და დარიგება მისცეს ხალხს. ქართველთა პატარ-პატარა სოფლები უსწავლელობის და გაუნათლებლობის გამო დიდს გაჭირვებას განიცდიან და თითქმის გადაგვარება-გადარჯულების გზაზედ სდგანან. ისინი ხშირად ოჯახში თათრულ ენაზედ ლაპარაკობენ და ბევრმა მათგანმა არც კი იცის ქართული ენა. არ იციან, რა არის სწავლა, რის გამოსადეგია და შეიძლება თუ არა უკეთესად ცხოვრება, ვიდრე ისინი სცხოვრობენ. მათთვის არავითარი გაზეთი, სამკითხველო, არავითარი სამეურნეო იარაღები და სხვ. არ არსებობს. ისინი, რომ იტყვიან, ბნელი წყვდიადით არიან მოცულნი და არც აწმყო და არც მომავალი მათ არ აინტერესებთ. ასეთია, სხვათა შორის, სოფელი სიონი და წერაქვი. სოფელ სიონში ამ ბოლოს დროს სოფლის მღვდელი შეუდგა ქართულად წირვა-ლოცვას და განიზრახა სასწავლებლის დაარსება. მხოლოდ მეორე სოფელი კი წერაქვი, ბერძენ მღვდლის ხელშია და, რასაკვირველია, მის წირვა-ლოცვისა არა ესმით რა მცხოვრებლებს. ბევრი სხვა ქართველობაა გაფანტული აქა იქ სომხების და ბერძნების სოფლებში.

ძალიან სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს რომ ასეთ ჩამორჩენილ მხარეში გვემატება ერთი ცოცხალი ქართული დაწესებულება, საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება.

ამ განყოფილების დასაარსებლად დ საჭირო გამგეობის ამოსარჩევად 29 ქრისტეშობისთვეს, ბ-ნმა კონსტანტინე სვიმონიშვილმა დაბა შულავერში მოიწვია ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც დიდის ხალისით მიეგებნენ ამ წინადადებას, შეიტანეს საწევრო გადასახადი. თავმჯდომარედ კრებამ აირჩია ბ-ნი კონსტანტინე იოსების ძე სვიმონიშვილი, მის ამხანაგად—ექიმი ბ-ნი მ. მირზაშვილი; წევრებად—თავადი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძე, თავ. მელიქიშვილი იოსებ ივანეს ძე და ბ-ნი ილია ნიკოლოზის ძე ღოღობერიძე. სარევიზიო კომისიის წევრებად—შალვა ტატიშვილი, ტერენტი ლოტარია და ნიკოლოზ გრიგოლიშვილი. მღივნად ერთხმად ამორჩეულ იქმნა მღვდელი აბრამ გოგნიშვილი და ხაზინადრად დიმიტრი მაკროპულო.

გულშემატკივარი.

# ზემო სვანეთი

აუტანელია ტანჯული და დაჩაგრული სვანების ცხოვრება. თოვლ-ყინულიან მთებში მიმწყვდეული საბრალო სვანეთი ბევრი ხნის უთვალყურობის გამო ისე დაობლებულია, როგორც ჩჩვილი უდედ-მამოთ. მათზე არც მთავრობა დარდობს და არც ქართველობა. სვანეთში მუშაკაცი აღარავინ დარჩა: ყველანი ომში გაიწვიეს. უპატრონოთ დარჩენილი მშობლები და წვრილი ცოლ-შვილი ყოველ გვარ გაჭირვებას განიცდიან: სიცივეს, შიმშილობას თუ ათასგვარ ავათმყოფობას. ისედაც დამსებულ ოჯახს ყოველ დღე ახალ-ახალ ხარჯებს ახდევინებს პოლიცია, ხან მებატონეები და ხან სოფლის მოხელეები.

გაჭირვებას აიტანდა ადამიანი, რომ თანამგრძნობი მაინცა სჩანდეს, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ სწორედ ასეთი შემთხვევა ახალისებთ ვიგინდარა, მთავრობის მოხელეა იგი თუ უბრალო ჩარჩი-ვაჭარი. რა ჰქნან-უკაცო სოფლელებმა? სესხათაც ვერ იშოვნიან და თუ იშოვნეს, ისიც მამასისხლად იქნება აღებული. თვითონ სიცივით იხოცებიან და გადასახადები კი გასაღები რჩებათ: მათი სარჩენია სოფლის მასწავლებელნი, მამასახლისები, თუ არას მიუტანენ ტყავს აძრობენ ცემით. რა ჰქნან? ვის მიმართონ, მფარველად არვინა სჩანს. ვინც რას ეტყვის, ყველასი სჯერათ, ყველას ერთგულად ღებულობენ, ენდობიან, მაგრამ ამ ნდობას ყველა ბოროტად ხმარობს, მათ და სავალალოდ, გასატყავებლად.

აგერ 5 წლის წინეთ სვანეთს ესტუმრა ბოქაულათ სვანი, რომელიც მთელმა სვანეთმა მამა შვილურად მიიღო. „ეს მაინც ჩვენია და ცოტას კანონიერად გაგვიადვიადვილებს ცხოვრებასაო“ ამბობდნენ სვანები, ვაი იმისთანა ჩვენს მტერს მან გაუადვილა ცხოვრება! ხუთი წლის განმავლობაში სულ უკუღმა ატრიალა და გაატყავა სამშობლო სვანეთი. გალაღებული, ხელ-ფეხ გახსნილი ცეცხლად მოევლინა სოფლელებს, წინააღმდეგობას ვერავინ უწევდა, ღმერთად მიაჩნდათ. იგი გრძნობდა საკუთარ ძალას და ამიტომ ის ყველაფერზე აწერდა სვანეთში ხელს: ვაჭრობას, მეფუტკრეობას, შუამავლობას, მედიატორობას და მამასახლისობას. ყველა ამ ხელობით იგი უხვად ითბობდა ხელს. მაგრამ რაც მან სვანეთს დღე დააყენა ამ ბოლო დროს, ეს ყველაფერს აღემატება: სვანები, როგორც უცოდნელები და მთიულები, უშიშარი და გულგაუტეხავი ხალხია, მაგრამ მთავრობის შიში და მორიდება საკმაოთ აქვთ. აი, ამიტომაა, რომ მათ, სვანებს არასოდეს არ უღალატნიათ არც მთავრობისთვის და არც სხვისთვის. მაგრამ რადგანაც ისინი უყურადღებოდ არიან დარჩენილი, ქვეყნის ტრიალისა მათ არ უწყიან, ჩამორჩნენ ყველას. ვინც რას იტყვის მათს შესახებ, ყველას სჯერა, რადგანაც სვანები არიანო და მართლა ჩაიდენდენო. ასე მოხდა წელსაც. უცნაური ამბავი გავრცელდა: სვანეთი ღალატობს მთავრობასაო. საიდან წამოვიდა ეს ხმები? საქმე აი რაშია: სვანეთიდან ენკენისთვეში მოწვეული ჯარისკაცები 400 კაცი, გარდა 18—20 კაცისა, ყველა მსურველი იყო და ამასრულებელი მოვალეობის. და იმ 18—20 კაცის ბრალი მთელ სვანეთს დასდო, ზემოდ ხსენებულმა ბატონ ბოქაულმა. როდესაც მოვალეობის ამსრულებელ სვანებს ქუთაისში ჩამოჰყვა, მან ისე წარუდგინა სვანები მართველობას, ვითომც „ჩემი ძალით ჩამოვიყვანეო“. მმართველობამ დაიჯერა და ის თავის ნებით ჩამოსული სვანები ყველა ჩაამწყვდია, არ გაგვექცნენო. ის ბატონი ბოქაული თუ ამისთანა ვაჟკაცი იყო რომ, 400 კაცი ჩამოიყვანა რატომ ის 18—20 კაცი არ ჩამოიყვანა? საბრალო უცოდნელ სვანებმა ქუთაისში დამწყვდევა ისე მიიღეს ვითომდა ყველას ცეცხლს უკიდებდნენ და ამიტომ ამ შიშის გამო ზოგიერთი მათგანი გაექცათ. ეხლა ამისთვის მთავრობა სვანებს ზიზღით შეჰყურებს და ბოქაულმა კი „ჩინი“ მიიღო. ამისთანა უსამართლობაში იმყოფება სვანეთი, ამიტომ სთხოვს ყველას, მათ ცხოვრებასაც მიექცეს ყურადღება, რათა ზედმეტი ჩაგვრა და წამება აიცილოს.

მ. მთიელი.

# პროვინციის ქრონიკა

**ბ ა ქ ო.**

4 იანვარს ბაქოს ჩამოვიდა სასურსათო საკითხის რწმუნებული კ. ი. შამკოვსკი.

**გ ო რ ი.**

18 წარსულ თვეს აქ მოხდა ნებადართული საზოგადოების „გორის კოოპერატივის“ დამფუძნებელ წევრთა კრება, კრებას 53 წევრი დაესწრო; გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ ექ. პავლეკო, დ. რუდნევი, შ. გოგებაშვილი, ი. ირემაშვილი, ექ. კლიმიაშვილი, მ. რაზიკაშვილი და ა. გინზბურგი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: ა. ზაალიშვილი, სგორნოვი და შატუნოვი.

— გორში სიძვირე დღე-დღეზე იზრდება, ამ ხანად სდგას შაქრის კრიზისი.

**ხაშური.**

ხაშურის საქალებო გიმნაზიაში ქართულ ენის მასწავლებლად დაინიშნა ქ. ნინიძე.

— ხაშურის დეპოს რკინის გზის უფროსმა ერთი ვაგონი პურის ფქვილი მოიტანა და რკინის გზის მოსამსახურეთ დაურიგა შეღავათიან ფასებში.

**სოფ. ზემო ჭალა.**

ქართლის სოფლებში თანდათან ხშირდება და ფეხს იკიდებს ყაჩაღობა. ამას წინად სოფ. ზემო ჭალაში გაქურდეს ადგილობრივი მცხოვრები ვას. ალაქანაშვილი, მეორე დღეს ბორჯომიდან დაგეშილი ძაღლი ჩამოიყვანა პოლიციამ, რომელმაც ქურდის სახლს მიაგნო სადაც რამდენიმე ბოროტმომქმედი შეიპყრეს.

# სომეხთა ცხოვრება

ბითლისში ორი სომხის ტერტერა შეიპყრეს და სატუსაღოში გაჰგზავნეს.

— სომხური „ვან-თოსფი“ დიდის სინანულით აღნიშნავს დღეს სომხის ხალხის თავზე დამტყდარ უბედურებათ, და უსაყვედურებს სომხის მოღვაწეთ, რომ ისინი არ აკრიტიკებენ დ არ აძლევენ რჩევას სომხის ხალხს თავის მოქმედებაში.

— ამე იკიდან მოსკოვს ჩამოვიდა ამერიკელი დეპუტატი, რომელსაც გამოქცეულ სომეხთა დასახმარებლად შეგროვილი ფული ჩამოუტანია.

— გამოქცეულ სომეხ ობოლთა უმეტესობა მოუთავსებიათ კრწანისში გახსნილ თავშესაფარში.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

**საზოგ. „საფა“-ში.**

საზოგადოება „საფამ“ გუშინ 5 იანვარს მაჰმადიანთა საზოგადოება მიიწვია ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში, წინასწარმეტყველ მაჰმადის დაბადების დღის პატივსაცემლად და აღსანიშნავად.

---

ბაქოს მაჰმადიან საზოგადოების თავმჯდომარე ნაფიცი ვექილი კანტეგოროვი არჩეულ იქმნა კავკასიის ქალაქების კავშირის გამოქცეულთა დამხმარე კომიტეტის წევრად.

**სურმალინის მაზრაში.**

უკანასკნელ ხანს ოსმალეთიდან სურმალინში მოსულა 500 გამოქცეული, ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოება შეძლების დაგვარად დახმარებას უჩენდა, ეხლა საზოგადოება შუამდგომლობს კავკასიის გამოქცეულთა დამხმარე კომიტეტის წინაშე, რათა კომიტეტმა დახმარება აღმოუჩინოს მათ.

---

ჩელიაბინსკში ჩვეულებრივის ხალისით იდღესასწაულეს წინასწარმეტყველ მაჰმადის დაბადების დღე.

# რუსეთი

**სასურსათო საკითხი.**

3 იანვარს მიწადმოქმედების და გზათა მინისტრები გაემგზავრნენ სხვა და სხვა ადგილებში სასურსათო საკითხის გამოსარკვევად.

**გ უ ჩ კ ო ვ ი.**

გუჩკოვი, რომელიც ამას წინად ავად გახდა, მისი მდგომარეობა თანდათან უარესდება. ამ ჟამად გუჩკოვს გულის სიდამბლე მოსდის.

**მ ო ს კ ო ვ ი.**

უეცრივ გარდაიცვალა ცნობილი რუსის დრამატურგი ჩაიკოვსკი.

**დ. მერეჟკოვსკის ახალი აზრი.**

დ. მერეჟკოვსკის განუცხადებია: წარსულ წელს მე მომხრე ვიყავ, რომ ჯერ რუსეთს სახელოვანად დაესრულებინა ომი და მერე მოეხდინა სახელმწიფოში რეფორმები, წელს კი შიშველ სინამდვილის წყალობით ვამბობო, რომ აუცილებლად საჭიროა ეხლავე რეფორმების მოხდენა და შემდეგ ომის განგრძობაო“.

**ბ უ რ ც ე ვ ი.**

ცნობილ ბურცევს პეტროგრადში ცხოვრების ნება დართეს.

**დაპატიმრებულთა განთავისუფლება.**

ამას წინად რუსეთში ექვით ბევრი სოციალ რევოლიუციონერთა პარტიის წევრი შეიპყრეს. მათ შორის იყო: ბრამსონი, მეცი და ვოდოვოზოვი, რომელნიც უკვე გაუნთავისუფლებიათ, მხოლოდ დანარჩენებს სამართალში მისცემენ 120 მუხლის ძალით, ამბობენ მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს გახსნამდე განსაკუთრებულ ცნობას გამოაქვეყნებს, სადაც ხსენებულ პირთა დატუსაღების მიზეზები იქნება აღნიშნულიო.

# უცხოეთი

**ინგლისი.**

ოფიციალად გამოცხადდა მოხალისე ახალგაზრდათა ჯამი, დერბის სისტემით შეგროვილა დღემდე 6,000,000 კაცი.

**გერმანია.**

გერმანიაში პროფესიულ კავშირმა თავის მოქმედების ანგარიში გამოაქვეყნა; წარსულ წელს კავშირის მოქმედება მეტად ნაყოფიერი ყოფილა, ბევრი ხელმოკლე და ომისგან დაზარალებული მცხოვრები შეუნახავს გასულ წელს პროფესიულ კავშირს.

**ავსტრია.**

ფრანც იოსებს იმპერიის სხვა და სხვა კუთხიდან ახალწლის მისალოცი დეპეშები მიუღია.

**შვეცია.**

შვეციაში დიდ ყურადღებას აქცევენ ამ უკანასკნელ ხანს ბრძოლის ველზე მდგომარე ამბებს.

**რუმინია.**

რუმინიაში ინგლისმა დიდძალი ხორბალი დაიკვეთა, მაგრამ საკითხავია საიდან გაზიდავს?

**ოსმალეთი.**

დარდანელის და გალიპოლისის მოკავშირებისგან მიტოვება სტამბოლში ერთგვარ სიხარულს და აღფრთოვანებას იწვევს.

# თეატრი და ხელოვნება

კვირას 3 იანვარს „ნაძალადევის“ თეატრში გამართეს ვაჟა-ფშაველას საღამო, ი. იმედაშვილმა მოკლედ გააცნო დამსწრეთ ვაჟას შემოქმედება. შემდეგ წაიკითხეს ლექსები: გ. ქუჩიშვილმა, ბ. ახოსპირელმა და მ. ხერხეულიძემ. განსაკუთრებით უფრო მოეწონათ გ. ქუჩიშვილის ლექსი „ვაჟას არწივი“. ლიტერატურულ განყოფილების შემდეგ წარმოადგინეს ილიას „კაკო ყაჩაღი“ 1 მოქმედებათ. კაკოს როლს ასრულებდა მ. ხერხეულიძე, რომელმაც სამწუხაროდ ვერ გადმოგვცა კაკოს ნამდვილი მოქმედება. მას ეგონა რამდენსაც ძალიან დაიყვირებდა, იმდენათ უფრო განასახიერებდა გმირის ხატებას. არც ა. გოგაშვილი (ზაქრო) იყო შესაფერისი. ამ სცენის მოყვარემ როლი სრულებით არ იცოდა.

დასასრულ დადგეს ცოცხალი სურათები ვაჟას ნაწარმოებიდან, მაგრამ მხატვრული უნარი ვერ გამოიჩინეს.

ხოხო.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 | „ „ |
| იორიდან | 11 „ 35 | „ „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 | „ „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ 37 | „ „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 | „ „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 | „ „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 | „ „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 | „ „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 | „ „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 | „ „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 | „ „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 | „ „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 | „ დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 | „ „ |
| იორიდან | 2 „ 53 | „ „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 | „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 31 | „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 | „ „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ 46 | „ „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 | „ „ |

## სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣлъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

---

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

---

თევზის მრეწველნი

ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.